# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №02/ნ
## 2015 წლის 23 იანვარი

## ქ. თბილისი

## „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 16 ნოემბრის №925 ბრძანებულების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**მუხლი 1**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, 112, 26/09/2005, სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს - ქალაქ აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ განათლებისკარის საჯარო სკოლას ეწოდოს სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლა.

**მუხლი 2**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, 112, 26/09/2005, სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს - ქალაქ აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის მე-9 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლა | სოფელი მაცხოვრისკარი | დაწ-საბ |

**მუხლი 3**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, 112, 26/09/2005, სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს - ქალაქ მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორჯონიკიძის საჯარო სკოლას ეწოდოს სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოს საჯარო სკოლა.

**მუხლი 4**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, 112, 26/09/2005, სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს - ქალაქ მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის მე-20 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 | მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოს საჯარო სკოლა | სოფელი საიმერლო | დაწ-საბ-საშ |

**მუხლი 5**
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი** **თამარ სანიკიძე**